

# ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ივლისი



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

## ავტორი:

### ბაბუცა პატარაია\*

კავშირი „საფარის“ სახელით

## რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

## თარგმანი:

ანა გეგეჭკორი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდის 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივნისამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ შიდა პროექტის ფარგლებში „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ ატებს.

## სოციალური მომსახურება – ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი

### პოლიტიკის დოკუმენტი

## წინასიტყვაობა

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის თანასწორი მოპყრობის ნაწილი (ნაწილი 2.1) ყურადღებას ამახვილებს საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, როგორც ქალისა და კაცის მიმართ თანასწორი მოპყრობის შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტზე. აღნიშნულ ნაწილში ლაპარაკია ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების გაუმჯობესებაზე, კონკრეტული პროფესიული ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე და მსხვერპლებსათვის საკონსულტაციო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობაზე.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსთვის ბოლო ათწლეულის განმავლობაში პრიორიტეტული იყო. 2006 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, რასაც მოჰყვა სახელმწიფო სამოქმედო გეგმების დამტკიცება და სისხლის და ადმინისტრაციულ სამართლის საკანონმდებლო ცვლილებები. მიუხედავად ამისა, ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე მეტად უგულვებელყოფილ დანაშაულად რჩება, რომლის შესახებაც პოლიციას იშვიათად ატყობინებენ. საქართველოში 2014 წელს ფემიციდის (ქალთა მკვლელობის) უპრეცედენტო ზრდის შემდეგ სამართალდამცველი ორგანოების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოძიების ხარისხი გაუმჯობესდა. ოჯახში ძალადობის დანაშაული უფრო თვალსაჩინო ხდება და მის შესახებ საზოგადოების ცოდნა სულ უფრო იზრდება, თუმცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „ჯანდაცვის სამინისტრო“) მინიმალურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით აფერხებს ამ მიმართულებით მიღწეულ პროგრესს.

\* ბაბუცა პატარაია ქალთა ორგანიზაცია „საფარის“ დირექტორია და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ქალთა მოძრაობაში. მას მიღებული აქვს სამართლის მაგისტრის ხარისხი ცენტრალურ ევროპულ უნივერსიტეტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს 2006 წლის კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (შემდგომში „კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ“) ხაზს უსვამს სოციალური მომსახურების მნიშვნელოვან როლს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საკითხში. იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა იყოს შედეგიანი და ეფექტური, მნიშვნელოვანია ძალადობის ყოველ შემთხვევაზე სოციალური მუშაკის ჩართულობა. სოციალურ მუშაკებმა უნდა დაიცვან ბავშვთა უფლებები, მსხვერპლთა ინტერესები, მიაწოდონ მათ ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და მომსახურებების შესახებ, და იმუშაონ მოძალადე მეუღლეებთან. არასრულყოფილი კანონმდებლობა, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა აბრკოლებს სოციალური მომსახურების განვითარებას და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლაში არსებითი მნიშვნელობის ფაქტორად ქცევას. აუცილებელია, ჯანდაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბოს სოციალური მომსახურების მექანიზმი და დაიქირაოს პროფესიონალი სოციალური მუშაკები.

## შესავალი

ოჯახში ძალადობა მწვავე პრობლემაა საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში კრიმინალური მდგომარეობა არ გაუარესებულა, თუმცა ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევათა რაოდენობა მკვეთრად იზრდება.<sup>1</sup> როგორც მთავრობა, ისე სამოქალაქო სექტორი თანხმდებიან, რომ ოჯახური ძალადობის დანაშაულთა ასეთი ზრდა უკავშირდება გამოვლენილ შემთხვევებზე სამართალდამცავი უწყებების გაუმჯობესებულ რეაგირებას.

2014 წელი აღინიშნა ფემიციდის უპრეცედენტო ზრდით,<sup>2</sup> რამაც საზოგადოების მასობრივი პროტესტი გამოიწვია. „ქალთა მოძრაობამ“ 2014 წლის 25 ნოემბერს<sup>3</sup> საქართველოს 25 ქალაქში ორგანიზება გაუწია საპროტესტო აქციებს, სატელევიზიო პროგრამებმა ეთერი დაუთმეს ოჯახში ძალადობის საკითხების გაშუქებას მთელი კვირის განმავლობაში,<sup>4</sup> ამ საკითხის განხილვას რამდენიმე პოლიტიკური თოქშოუც კი მიეძღვნა. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებულმა ზენოლამ მთავრობაზე შესაბამისი შედეგი გამოიღო, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის, განახორციელოს სტრატეგიული ცვლილებები პოლიტიკის დონეზე.<sup>5</sup> ამან განაპირობა ოჯახში ძალადობის მიმართ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილება: ოჯახში ძალადობა აღიარებული იქნა სერიოზულ პრობლემად, რასაც მოჰყვა რიგი საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებები.

თვალსაჩინო ცვლილებები განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტრომ წამოიწყო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების კამპანია. მართალია, კამპანია გააკრიტიკეს მრავალი მიზეზის გამო,<sup>6</sup> მაგრამ მან წარმატებას მიაღწია კამპანიაში მონაწილე პოლიციის თანამშრომელთა სენსიტიურობის გაზრდის თვალსაზრისით. პოლიციის თანამშრომლები უფრო ხშირად ეუბნებიან ოჯახში ძალადობის

<sup>1</sup> სისხლის სამართლის სტატისტიკა, იხ. შემდეგ მისამართზე: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=601&lang=geo;2007-2014](http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo;2007-2014) წლებში ჩადენილი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულების სტატისტიკა იხ. შემდეგ მისამართზე: <http://police.ge/files/pdf/9%20ojaxuri%20zaladoba%202007-2014--6%20Tve.pdf>, ხოლო 2015 წელს ჩადენილი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულების სტატისტიკა - [http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvleebi\\_new/geo/sxvadasxva%20statistika/2015/ojaxSi%20Zaladoba%202015w.pdf](http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvleebi_new/geo/sxvadasxva%20statistika/2015/ojaxSi%20Zaladoba%202015w.pdf)

<sup>2</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ფემიციდის საქმეების განაჩენები, 2014“, იხ. შემდეგ მისამართზე: [https://www.gyla.ge/files/news/2016%20wli%20gamocema/femici-di\\_ge.pdf](https://www.gyla.ge/files/news/2016%20wli%20gamocema/femici-di_ge.pdf)

<sup>3</sup> „შეწყდეს ძალადობა ქალების მიმართ“ - ქალთა მოძრაობის მიერ 2014 წლის 25 ნოემბერს ორგანიზებული საჯარო დემონსტრაცია - <https://georgianwomenmovement.wordpress.com/2014/11/12/modi-25-noembers-1300-ze/>, <https://www.youtube.com/watch?v=LKmn18xdy40>.

<sup>4</sup> „შენწყვიტე! – „პრაიმტიმის“ მიერ ორგანიზებული კამპანია, რომელიც გმობდა ქალების მიმართ ძალადობას და რომელსაც შეუერთდნენ მედიის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, მსახიობები, ფსიქოლოგები და სხვა საჯარო ფიგურები: <http://primetimenews.ge/shewyite-axali/>; <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=39045>

<sup>5</sup> პირველი სააგენტოთაშორისი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ოჯახში ძალადობის საკითხებზე: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=380&info\\_id=45181](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=45181); A პრემიერ-მინისტრის მიერ 2014 წლის 25 ნოემბერს გაკეთებული განცხადება ქალების მიმართ ძალადობის საკითხზე - [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=380&info\\_id=45798](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=380&info_id=45798).

<sup>6</sup> კამპანია „არა ძალადობას“ წამოიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა - <http://police.ge/ge/shs-ministris-initsiativit-datskebuli-kampania-7435>. კამპანიას „არა ძალადობას“ შეუერთდა საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი 112 - [http://112.gov.ge/?m=8&news\\_id=94](http://112.gov.ge/?m=8&news_id=94);

მსხვერპლ ქალებს, რომ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა პოლიციის პრიორიტეტია. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებს უფრო სერიოზულად ეკიდებიან და უფრო ეფექტიანად რეაგირებენ მათზე.

2014 წლიდან მოყოლებული ოჯახში ძალადობის დანაშაული მზარდია. თუ პოლიციის მიმართ ნდობა იქნება და ქმედითი რეაგირება სამართალდამცველი უწყებების მხრიდან გაგრძელდება, აღნიშნული დანაშაულის სტატისტიკაც გაიზრდება. სამართალდამცავი უწყებების მზადყოფნა, შეებრძოლონ ოჯახში ძალადობას – იმედისმომცემია, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით სოციალურ მომსახურებაზე. ჯერჯერობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაწილეობა ამ პროცესებში მინიმალურია საკანონმდებლო ნაკლოვანებებისა და ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად არის განხილული აღნიშნული ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია პრობლემის გადწყვეტის გზები.

## მიღგომეპი და შედეგეპი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. №1 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია პოლიციის ცხელ ხაზზე შესულ შეტყობინებათა რაოდენობის, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე წამოწყებული გამოძიებისა და პოლიციის მიერ გაცემული დამცავი ორდერების შესახებ.

ცხრილი №1 — ოჯახში ძალადობის სტატისტიკა<sup>7</sup>

	2013	2014	2015
112 – პოლიციის ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებები ოჯახური კონფლიქტების შესახებ	5 447	9 290	15 910
პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერები	212	902	2 726
ოჯახური დანაშაულების გამოძიება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 1261 მუხლები)	185	350	949

ზემოხსენებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მეტი ადამიანი რეკავს პოლიციის ცხელ ხაზზე. პოლიცია ასევე ავლენს მზადყოფნას, იმოქმედოს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დარღვევების შემთხვევებში, გამოსცეს შემაკავებელი ორდერები და დაიწყოს გამოძიება. შეტყობინებების განშირება უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მიერ წარმატებით ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიას, რომელიც ეხმიანება და გმობს ოჯახში ძალადობის მიძიმე შემთხვევებსა და ფემიციდს. თუმცა შემოსულ შეტყობინებათა რაოდენობასა და სამართალდამცავთა რეაგირებას შორის სხვაობა ძალიან დიდია, რაც შემფოთებას იწვევს.

<sup>7</sup> სტატისტიკური მონაცემები 112-ის მიერ მიღებული შეტყობინებების შესახებ აღებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიშებიდან: „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა“, 2013, გვ. 13, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/uploads/other/3/3280.pdf> „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა“, 2014, გვ. 24, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/uploads/other/3/3288>. პდუ „ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა“, 2015, გვ. 33, იხ. შემდეგ მისამართზე: <http://ombudsman.ge/uploads/other/3/3722.pdf> სტატისტიკური მონაცემები შემაკავებელი ორდერებისა და სისხლის სამართლის კოდექსის 111 და 1261 მუხლების საფუძველზე სამართლებრივი დევნის შემთხვევათა რაოდენობის შესახებ აღებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან: <http://police.ge/en/home>.

პოლიცია გააქტიურდა, სოციალური მუშაკები კი პრაქტიკულად არ არიან ჩართული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღესდღეობით სოციალური მუშაკები ოჯახში ძალადობის მხოლოდ იმ შემთხვევებში ერევიან, როდესაც საქმე ბავშვს ეხება, ანუ როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვია.<sup>8</sup> სხვა შემთხვევებში, როდესაც ოჯახში ძალადობა ზრდასრულებს აზარალებს, მაგალითად, ქალებს, სოციალურ მუშაკები უფუნქციოდ არიან. ეს იმის გამო ხდება, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მოქმედება, რომელიც სოციალურ მომსახურებას ეხება, შეჩერებულია ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით.<sup>9</sup> შესაბამისად, სოციალური მომსახურების ჩაურთველობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში კანონმდებლობითაა განპირობებული და საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს.

## სამართლებრივი ბაზა

არსებობს კონკრეტული კანონები, რომლებიც ეხება სოციალური მუშაკის როლს საქართველოში. ეს კანონებია შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ, სახელმწიფო პენსიების შესახებ, ომის ვეტერანების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ და ა.შ.<sup>10</sup> აღნიშნული კანონები განსაზღვრავენ სოციალური მუშაკის როლს, მაგრამ ცალკე კანონი, რომელიც ზოგადად დაარეგულირებდა სოციალურ მომსახურებას საქართველოში, არ არსებობს.

ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი 2006 წელს მიიღეს. გარდამავალ დებულებებში, VII თავის პირველი მუხლის მეორე პუნქტი ჯანდაცვის სამინისტროს უწესებს ვადას, რათა მან „განსაზღვროს ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმები და უზრუნველყოს შესაბამისი სოციალური მუშაკების მომზადება“.<sup>11</sup> ამჟამად სოციალური მომსახურების განვითარებისთვის კანონში დადგენილი ვადა 2016 წლის 1 ივლისი. სოციალური მომსახურების განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბების ვადამ ბოლო ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაინა.

კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ განსაზღვრავს სფეროებს, სადაც აუცილებელია სოციალური მომსახურება. ოჯახში ძალადობის შემთხვევათა დადგენაში განსაკუთრებული როლი აკისრია სოციალური მომსახურების სააგენტოს.<sup>12</sup> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ასევე მითითებულია, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც ეკისრება ოჯახში ძალადობის პრევენცია. კანონში ჩამოთვლილია ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, მათ შორის ის მექანიზმები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს უფლებამოსილების სფეროშია, კერძოდ: პრევენციული ღონისძიებების გატარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან, ან რომელთაც უკვე ჩადენილი აქვთ ოჯახში ძალადობა. ჯანდაცვის სამინისტროს ასევე ევალება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა ადამიანის უფლებების, ძალადობისაგან დაცვის გარანტიებისა და მოძალადეთა რეაბილიტაციის შესაძლებლობების თაობაზე.<sup>13</sup>

<sup>8</sup> სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ სოციალური მუშაკები ოჯახში ძალადობის მხოლოდ იმ შემთხვევებში ერევიან, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება: [http://ssa.gov.ge/index.php?sec\\_id=801&lang\\_id=GEO](http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=801&lang_id=GEO)

<sup>9</sup> კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, იხ. შემდეგ მისამართზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?impose=original>

<sup>10</sup> შესაბამისი კანონების ჩამონათვალი მოცემულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, იხ. შემდეგ მისამართზე: [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=716](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=716)

<sup>11</sup> კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006, იხ. შემდეგ მისამართზე: [http://www.stopvaw.org/sites/3f6d15f4-c12d-4515-8544-26b7a3a5a41e/uploads/law\\_of\\_georgia\\_on\\_domestic\\_violence\\_translation\\_used\\_in\\_assessment.doc](http://www.stopvaw.org/sites/3f6d15f4-c12d-4515-8544-26b7a3a5a41e/uploads/law_of_georgia_on_domestic_violence_translation_used_in_assessment.doc)

<sup>12</sup> იქვე, მუხლი 9<sup>1</sup>.

<sup>13</sup> იქვე, მუხლი 6.

უნდა აღინიშნოს, რომ მოძალადეთა რეაბილიტაციის სერვისი საქართველოში საერთოდ არ არსებობს. ასევე, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან, არ არის განსაზღვრული პრევენციის მექანიზმები. მოძალადეებისათვის რეაბილიტაციის მომსახურების შემოღების საბოლოო ვადად 2016 წლის 1 ივლისია დადგენილი კანონით. ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის და აღნიშნული დაწესებულებიდან მიღებული კორესპონდენციის მიხედვით, მოძალადეთათვის რეაბილიტაციის მომსახურების შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები არ მიმდინარეობს. აუცილებელია კანონის აღსრულება და ჯანდაცვის სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს საჭირო ზომები.

### საერთაშორისო ვალდებულებები

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებაა. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობაზე რეაგირება ის გამომწვევაა, რომელზეც საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად ამახვილებენ ყურადღებას.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმების ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია აქტივობები თანასწორი მოპყრობის ხელშესაწყობად, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განახორციელოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია; გაზარდოს ამ საკითხთან დაკავშირებული ცოდნა როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ისე კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებში, როგორცაა პოლიცია, განსაკუთრებით კი სოფლებსა და უმცირესობების დასახლების ადგილებში. ასოცირების დღის წესრიგის აღნიშნული ნაწილი ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, გაზარდოს მსხვერპლთათვის საკონსულტაციო მომსახურებებსა და თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობა. საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის განხორციელება საჭიროებს სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ვინაიდან კანონი ყურადღებას ამახვილებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მომსახურების მნიშვნელოვან როლზე. სოციალური მუშაკები ასევე მიეკუთვნებიან იმ პროფესიულ ჯგუფებს, რომლებსაც სჭირდებათ საფუძვლიანი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმები, ყურადღებას ამახვილებენ სოციალური მომსახურების მნიშვნელობაზე. მათ შორის, სოციალური მომსახურების განვითარებაზე, სოციალური მუშაკების რაოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტის გაზრდაზე ყურადღება გამახვილებულია გაერო-ს საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის მეორე ციკლის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებში.<sup>14</sup> ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებში, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა ოჯახში ძალადობასთან და ფემიციდთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.<sup>15</sup>

<sup>14</sup> გაერო-ს საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის მეორე ციკლი, საქართველო, 23-ე სხდომა. A/HRC/31/15, რეკომენდაციები №№ 118.2; 117.25; 118.16. იხ. შემდეგ მისამართზე: [http://www.upr-info.org/sites/default/files/document/georgia/session\\_23\\_-\\_november\\_2015/recommendations\\_and\\_pledges\\_georgia\\_2016\\_0.pdf](http://www.upr-info.org/sites/default/files/document/georgia/session_23_-_november_2015/recommendations_and_pledges_georgia_2016_0.pdf)

<sup>15</sup> ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებულ პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით, C/GEO/CO/4-5, პუნქტი 21.

## სოციალური მომსახურება საქართველოში

ჯანდაცვის სამინისტროსაგან მიღებული ოფიციალური წერილი ადასტურებს, რომ სახელმწიფო სოციალური მუშაკები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში 2016 წლის 1 ივლისიდან ჩაერთვებიან. ამასთან, ჯანდაცვამ არ წარმოადგინა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მე-8 მუხლის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. ჩამოყალიბებული არ არის ოჯახში ძალადობის პრევენციის სოციალური მექანიზმი და არც ახალი ფუნქციების შესასრულებლად სოციალურ მუშაკთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ ყოფილა წარმოდგენილი ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ. ამ მიმართულებით სამინისტროს მიერ გადადგმული ერთადერთი ნაბიჯი არის რეფერირების მექანიზმის პროექტის შემუშავება ოჯახში ძალადობის შემთხვევებისათვის.<sup>16</sup> ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული მინიმალური ძალისხმევა ცხადყოფს, რომ სამინისტრო არ არის მზად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ იმ ამოცანების სრულფასოვნად შესასრულებლად, რომელსაც ოჯახში ძალადობის შესახებ კანონი ითვალისწინებს.

სოციალურ მუშაკთა საერთო რაოდენობა საქართველოში უაღრესად მცირეა. 600 სოციალური მუშაკი მუშაობს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში ერთად და მათგან მხოლოდ 240 მუშაკია ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სოციალური მომსახურების სააგენტოში.<sup>17</sup> მოსახლეობის უკანასკნელი ოფიციალური აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს.<sup>18</sup> ანუ 15 416 ადამიანზე ერთი სახელმწიფო სოციალური მუშაკია მოდის. ეს 240 სოციალური მუშაკი ემსახურება როგორც ბავშვებს, ასევე ხანდაზმულებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საქართველოში. ისინი უკვე გადატვირთულები არიან; ხოლო ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისკენ მიმართული საქმიანობის დამატების შემდეგ, სოციალური მუშაკების გადატვირთულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ისეთი მახასიათებლები გათვალისწინებით, როგორც არის სოციალური მუშაკის როლი, საზოგადოების სტრუქტურა, არსებული რესურსები და ა.შ. ჯანდაცვის სამინისტროს გაუწია რეკომენდაცია, რომ სოციალურ მუშაკებს დატვირთულობა განისაზღვროს თვეში 20 საქმის წარმოებით.<sup>19</sup> ამჟამად სოციალური მუშაკების დატვირთვა რეკომენდებულზე ორჯერ უფრო დიდია, ხოლო დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებში სოციალური მუშაკის დატვირთვა თვეში 80 საქმეს აღწევს.<sup>20</sup>

2016 წლის 1 ივლისიდან ოჯახში ძალადობის ყველა საქმე დაენერება სოციალური მომსახურების სააგენტოს 240 სოციალურ მუშაკს. სოციალური მუშაკების არსებული რაოდენობისა და მათი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით გამორიცხულია სოციალურმა მუშაკებმა სრულფასოვნად და ეფექტიანად შეასრულონ ახალი მოვალეობები, რომლებიც ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას და პრევენციას ეხება. გარდა ამისა, სოციალურ მუშაკებს სჭირდებათ დამატებითი სწავლება ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებში. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად

<sup>16</sup> შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური წერილი, 02.06.2016, №04/42466.

<sup>17</sup> ინფორმაცია სოციალური მუშაკების შესახებ (მოვალეობები, ამოცანები და ვალდებულებები, მათი კომპეტენციის სფეროები) შეგიძლიათ იხილოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (მხოლოდ ქართულ ენაზე): [http://ssa.gov.ge/index.php?sec\\_id=801&lang\\_id=GEO](http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=801&lang_id=GEO)

<sup>18</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საქართველოს მოსახლეობასთან დაკავშირებით იხ. შემდეგ მისამართზე: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=472&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo)

<sup>19</sup> სოციალური მუშაკების სამუშაო დატვირთვის განსაზღვრა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპები, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2015.

<sup>20</sup> სოციალური მუშაკების სიტუაციური ანალიზი, საქართველო, 2011, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, იხ. შემდეგ მისამართზე: [https://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW\\_Situational\\_Analysis\\_Report\\_Georgia\\_GASW\\_GEO\\_29\\_11\\_2011\\_F.pdf](https://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW_Situational_Analysis_Report_Georgia_GASW_GEO_29_11_2011_F.pdf)

აუცილებელია დამატებით ახალი სოციალური მუშაკების დასაქმება და მათი მომზადება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამუშაოდ. აღნიშნული კი საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფას.

## დასკვნა

საქართველოში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პოლიტიკის ეფექტიანად აღსრულების მიზნით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოციალური მომსახურების მექანიზმის შემუშავებას და პროფესიონალი სოციალური მუშაკების აქტიურ ჩართულობას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალური მუშაკების როლი ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია. ახლა, როდესაც გახშირებულია ფემიციდისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევები, დაუშვებელია სოციალური მომსახურების განვითარების შემდგომი დაყოვნება.

შეუძლებელია ოჯახში ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლა მისი პრევენციის გარეშე, რაც სოციალური მომსახურების ფუნქციაა. 240 გადატვირთული სოციალური მუშაკი ვერ გაუმკლავდება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ახალი საქმიანობის შესრულებას. ამიტომ საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს ახალი, პროფესიონალი სოციალური მუშაკების დაქირავების შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი საჭიროებს როგორც საკანონმდებლო, ისე საბიუჯეტო ცვლილებების განხორციელებას.

## რეკომენდაციები

ოჯახში ძალადობასთან ქმედითი ბრძოლის და ქალთა მიმართ ძალადობის მძიმე დანაშაულის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ მიიღოს კანონი სოციალური მომსახურების შესახებ;
- ▶ ჩამოაყალიბოს სოციალური მომსახურების მექანიზმი ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში;
- ▶ დაამკვიდროს მულტისექტორული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიციის, სოციალური მუშაკებისა და ჯანდაცვის სფეროს მუშაკების კოორდინირებულ რეაგირებას ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე;
- ▶ დაიქირავოს საკმარისი რაოდენობის სოციალური მუშაკი და მოამზადოს ისინი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამუშაოდ;
- ▶ სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოს საკმარისი ფინანსური რესურსი სოციალური მომსახურების განვითარებისა და განხორციელების მიზნით;
- ▶ განავითაროს მოძალადეთა რეაბილიტაციის სერვისები.

